სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

21/02/2025

MES 5 25 0000188042

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის "საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 19 თებერვლის №173985 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“ **(დანართი)**.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02233	საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	15	ქართული	40	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2025 წლის 15 იანვრის ბრძანებით N2

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი
პროგრამის სახე: [x] პროფესიული მომზადება [ ] პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: [ ] 2 [ ] 3 [x] 4 [ ] 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 15
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური 5 მაქსიმალური 10**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: მოამზადოს მსმენელი საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტად, რომელიც შეძლებს ტვირთის კლასიფიცირებას, ტვირთის მიღებას საწყობში, სათავსოში შენახვას, ტვირთის გაცემას საწყობიდან და სასაწყობო დოკუმენტებთან მუშაობას.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) 1. **საწყობში საქონლის მიღება;** 2. **მიღებული საქონლის შემოწმება;** 3. **საქონლის დასაწყობება;** 4. **ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა;** 5. **საქონლის გასაცემად მომზადება;** 6. **საქონლის დატვირთვა;** 7. **ტვირთის გაცემის დოკუმენტაციის წარმოება;** 8. **საწყობში განთავსებული საქონლის აღრიცხვა;** 9. **ანგარიშგების წარმოება.**
პროგრამის შემუშავების საფუძველი: ➢ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** „საწყობის ოპერირება“ ➢ **მოდულები:** ➢ საქონლის მიღება საწყობში; ➢ საქონლის დასაწყობება; ➢ საწყობიდან საქონლის გაცემა; ➢ საწყობში საქონლის აღრიცხვა.

პროგრამის მოკლე აღწერა: წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 15 კვირა და 300 საათი. პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. შესაბამისი შედეგები მიიღწევა სასწავლო დაწესებულებაში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამა მსმენელს მისცემს საშუალებას გაეცნოს ლოგისტიკის არსსა და მნიშვნელობას, შეისწავლოს სხვადასხვა საწყობის ტიპი, ტვირთების კლასიფიკაცია, ტვირთის მიღება საწყობში, მათი შენახვა სათავსოში და ტვირთის დახარისხება შესაბამისი ნორმების დაცვით, ტვირთის გაცემა საწყობიდან, სასაწყობო დოკუმენტებთან მუშაობა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლოგარემო
1	• საქონლის საწყობში მიღების პროცედურები; • საწყობში საქონლის შემოწმების პროცედურები;	1	20	ლექცია	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A,C
2	• საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებების ტიპები;	1	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა, პრაქტიკული	A, C

	• საქონლის მიღებისთვის საჭირო ტექნიკა და აღჭურვილობა				დავალება დაკვირვებით	
3	• საქონლის შემოწმების პროცედურა; • დაზიანებული საქონლის შემოწმება;	2	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
4	• სასაწყობო თაროების და იატაკზე დასაწყობების სახეობები; • საქონლის წონის და მოცულობის განსაზღვრა; • ტარისა და შეფუთვის სახეები და მახასიათებლები;	3	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
5	• დასაწყობებისთვის საჭირო ადგილმდებარეობის შერჩევის პრინციპები და წესები; • • საქონლის თაროზე/საწყობში განლაგების წესები;	3	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
6	• შრომის, ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის პრინციპები საქონლის დასაწყობებისას; • ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის აღწერილობა და გამოყენების წესები;	4	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	• განსაკუთრებით მალფუჭებადი, ფარმა პროდუქტების და საშიში ქიმიური ნივთიერებების შენახვის წესები;					
7	• მალფუჭებადი და ფარმა პროდუქტების შენახვის ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმები; • ტემპერატურის და ტენიანობის შემოწმების მოწყობილობის გამოყენების წესი;	4	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
8	• საქონლის გასაცემად მომზადების წესები; • ტვირთის შეფუთვასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები; • შესაფუთი მასალების აღრიცხვის წესები; • • სატრანსპორტო საშუალებაზე ლუქის დადების ზოგადი წესი; • ლუქის ტიპები;	5	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
9	• სატრანსპორტო საშუალების დალუქვის შესახებ აქტის შედგენის წესი; • ლუქის აღრიცხვის წესი.	5	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
10	• ტვირთის სატრანსპორტო საშუალებაში განლაგების პრინციპები;	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	• • ტვირთის სატრანსპორტო საშუალებაში დამაგრების წესები;					
11	• ტვირთის გაცემის დოკუმენტაცია და მათი წარმოების წესები; • ტვირთის ტრანსპორტირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია და მათი წარმოების წესები;	7	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
12	• საწყობის მართვის ელექტრონულ პროგრამაში გაცემული საქონლის შესახებ მონაცემების შეტანის წესები; • • მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა;	7	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
13	• საქონლის ინვენტარიზაციის პროცედურა; • წუნდებული საქონლის ჩამოწერა/ამოღების პროცედურები; •	8	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
14	• ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის წარმოების წესები; • საქონლის ინვენტარიზაციის ანგარიშგების მეთოდები;	8	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
15	• საწყობის ანგარიშგების სახეობები და ფორმები;	9	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	• ინდიკატორების აღრიცხვის წესები; • საწარმოში განსაზღვრული ინდიკატორების მაჩვენებლების საწყობის მართვის ელექტრონულ პროგრამაში შეყვანის წესები;					

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა "საწყობის ოპერირება"	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
საქონლის მიღება საწყობში - 04.1.1.3	1. საწყობში საქონლის მიღება; 2. მიღებული საქონლის შემოწმება;
საქონლის დასაწყობება - 04.1.1.5	1. საქონლის დასაწყობება; 2. ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა;
საწყობიდან საქონლის გაცემა - 04.1.1.7	1. საქონლის გასაცემად მომზადება; 2. საქონლის დატვირთვა; 3. ტვირთის გაცემის დოკუმენტაციის წარმოება;
საწყობში საქონლის აღრიცხვა - 04.1.1.8	1. საწყობში განთავსებული საქონლის აღრიცხვა; 2. ანგარიშგების წარმოება;